

**პროგრამის განაცხადის ფორმა**

**პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:**

მუნიციპალური სერვისების განვითარება

**პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** 08 01

**პროგრამის დასახელება:**

მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება

**პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

**პროგრამის განხორციელების პერიოდი:** 2021-2024 წლები

**პროგრამის მიზანი:**

მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობისა და ეფექტურობის ზრდა

**პროგრამის დასაბუთება და აღწერა:**

მუნიციპალური სერვისების ეფექტურობის გაზრდისა და უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება;
- ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო;
- თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა;
- ა(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია

**პროგრამის ბიუჯეტი**

დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება	<b>2 045 300</b>	0	617 900	679 700	747 700
ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო	<b>14 937 065</b>	2 532 765	3 407 800	4 089 300	4 907 200
თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა	<b>580 000</b>	130 000	150 000	150 000	150 000
ა(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია	<b>14 491 900</b>	3 391 900	3 650 000	3 700 000	3 750 000
<b>სულ პროგრამა</b>	<b>32 054 265</b>	<b>6 054 665</b>	<b>7 825 700</b>	<b>8 619 000</b>	<b>9 554 900</b>

**საბოლოო მოსალოდნელი შედეგი**

ამაღლებულია მუნიციპალური სერვისების ეფექტურობა

**დამატებითი ინფორმაცია**

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოგროვების მეთოდი
		2020 წელი (საბაზისო)	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი				
ამაღლებულია მუნიციპალური სერვისების ეფექტურობა	დანერგილი ელექტრონული სერვისების რაოდენობა	2	-	2	2	2	%	ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	მუნიციპალური სერვისების სერვისის მომხმარებელთა კმაყოფილების %-ლი მაჩვენებელი	70%	70%	70%	70%	70%	%	ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი

**ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა**

**პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:**

მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება

<b>ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	08 01 02
---	----------

**ქვეპროგრამის დასახელება:**

ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო

**ქვეპროგრამის ბიუჯეტი:**

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	2 532 765
სხვა წყარო	0
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>2 532 765</b>

**ქვეპროგრამის მიზანი:**

მუნიციპალური სერვისების ავტომატიზაცია და მუნიციპალური მომსახურების სწრაფი და ხელმისაწვდომი მომსახურების მიწოდება;

**ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტოს დაფინანსება, რომლის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს: მუნიციპალური სერვისების ავტომატიზაცია და მომსახურების „ერთი ფანჯრის პრინციპი“-ს ამოქმედება და ფუნქციონირება; ელექტრონული სერვისების დანერგვა, ერთიანი ელექტრონული სერვისების და გეოსერვისების პორტალის შექმნა და ფუნქციონირება; კომპეტენციის ფარგლებში მოქალაქეებისათვის მუნიციპალური სერვისების მიწოდების უზრუნველყოფა; სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების ხელშეწყობა; დადგენილი წესის შესაბამისად, ოჯახების საცხოვრებელი პირობებისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ მოკვლევის განხორციელება და დასკვნის შედგენა ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების, სხვადასხვა უწყებებთან შუამდგომლობის გაწევის ან/და უფასო სასაბუღალტრო სარგებლობის მიზანშეწონილობის თაობაზე; ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ჩამოყალიბებული მოქალაქეთა ჩართულობის ფორმების საქმიანობის ხელშეწყობა, მათგან ინფორმაციის მიღება, დამუშავება, განსახილველად გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან გადაგზავნა და უკუკავშირის განხორციელება; მოქალაქეების საჭიროებებზე ორიენტირებული დარგობრივი სტრატეგიებისა და მუნიციპალური პროგრამების შემუშავებაში, ასევე მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღება; მოსახლეობის მიერ დაფიქსირებული საჭიროებების (ინფრასტრუქტურული, სამეურნეო და სხვა) ყოველდღიური აღრიცხვა-სისტემატიზაცია და უფლებამოსილი პირ(ებ)ისათვის მიწოდება; მრავალზინიანი სახორცელო სახლების პასპორტიზაციის (შენობა-ნაგებობის მდგომარეობის შესწავლა) პროცესში მონაწილეობის მიღება; მერიის სისტემაში კომპიუტერული ტექნიკის/ქსელის გამართული ფუნქციონირების, ოპერაციული სისტემებისა და საოფისე პროგრამების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა; მერიის ვებგვერდის ტექნიკური უზრუნველყოფა; საქალაქო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და მიმდინარე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება, ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვადასხვა (მათ შორის, შინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში) მიმდინარე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება, მათი მოვლა-პატრონობა;"

არასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების, საგზაო ინფრასტრუქტურის (ტროტუარი, ბორდიური, ქვაფენილი, ბოძკინტი) მოვლა-შენახვის ღონისძიებების, პარკების, სკვერების, შადრევნების, დეკორატიული გზაგამყოფი ღობეების მოვლა-პატრონობის, ქ. ბათუმში, სხვადასხვა სახის სამხატვრო-გაფორმებითი სამუშაოების, ქ. ბათუმში, დროშების შექმნის (მონტაჟითა და დემონტაჟით), ქ. ბათუმში, საცხოვრებელი სახლებისთვის საინფორმაციო ფირნიშების შექმნა-მონტაჟის, ვიდეოსათვალთვალო კამერებისათვის საინფორმაციო ფირნიშების შექმნა-მონტაჟის ქუჩის მიმართულების მიმანიშნებელი ბანერების დამზადება-მონტაჟის, ბიუსტების, ძეგლების და ქანდაკებების მოვლა-დასუფთავების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვა საქალაქო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობისა და მიმდინარე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება;

საქართველოს კანონის "ბავშვის უფლებათა კოდექსი"-ის შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურების სფეროებს.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
<b>მუნიციპალური სერვისების მართვა</b>				<b>2 532 765</b>
<i>შტატით დასაქმებულ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება</i>	პირი	98	16 629	1 629 600
<i>შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება</i>	პირი	42	11 543	484 800
<i>სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება, (სხვა ხარჯები)</i>				418 365
<b>სულ ქვეპროგრამა</b>				<b>2 532 765</b>

**ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა**

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მუნიციპალური სერვისების მართვა	x	x	x	x

**შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)**

უზრუნველყოფილია მუნიციპალური სერვისების მიწოდება "ერთი ფანჯრის პრინციპით"
გადამზადებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეები და წევრები

**დამატებითი ინფორმაცია**

--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
უზრუნველყოფილია მუნიციპალური სერვისების მიწოდება "ერთი ფანჯრის პრინციპით"	მუნიციპალური სერვის ცენტრების რაოდენობა	14	14	რაოდენობა	(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო	ყოველკვარტალურად	(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო	მონიტორინგი
	„ერთი ფანჯრის პრინციპით“ მოსარგებლე მოქალაქეების, ბიზნეს სფეროსა და საჯარო უწყებების კმაყოფილების ხარისხის საპროცენტო მაჩვენებელი (გამოკითხვის საფუძველზე)	70	70	%	(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო	ყოველკვარტალურად	(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო	მონიტორინგი

**ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა**

**პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:**

მუნიციპალური სერვისების განვითარება

**ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:**

08 01 04

**ქვეპროგრამის დასახელება:**

თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური

**ქვეპროგრამის ბიუჯეტი:**

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	130 000
სხვა წყარო	0
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>130 000</b>

**ქვეპროგრამის მიზანი:**

თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების ეფექტური მართვა

**ქვეპროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების პასპორტიზაცია, რომელიც მოიცავს შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზების შექმნას, მიწის ნაკვეთების აზომვითი ნახაზების შესყიდვას, არსებული ნახაზების დაყოფას, არსებული ნახაზების კორექტირებას, არსებული ნახაზების გაერთიანებას, რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების დაკვალვას, ხაზობრივი ნაგებობების მიწისქვეშა და მიწისზედა აზომვითი ნახაზების შექმნას.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ასევე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ქონების, მათ შორის აქციებისა და წილის აუდიტორიული შეფასების დასკვნების მომზადება (ქონების საბაზრო და საიჯარო ღირებულების დადგენა);

ელექტრონული აუქციონის განცხადების განთავსება და ვაჭრობის პროცესის უზრუნველყოფის მომსახურების შექმნა; თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დაცვითი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. სამ. ფასი	სულ (ლარი)
ქონების პასპორტიზაცია			20 000
აუდიტორული შეფასების დასკვნების მომზადება	195	85,7	16 700
ელექტრონული აუქციონების მომსახურების შექმნა	18	250	4 500
დაცვითი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა	12	7400	88 800
<b>სულ ქვეპროგრამა</b>			<b>130 000</b>

**ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა**

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ქონების პასპორტიზაცია	x	x	x	x
აუდიტორული შეფასების დასკვნების მომზადება	x	x	x	x
ელექტრონული აუქციონების მომსახურების შექმნა	x	x	x	x
დაცვითი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა	x	x	x	x

**შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)**

უზრუნველყოფილია თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების ეფექტური მართვა

დამატებითი ინფორმაცია

--

პროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
უზრუნველყოფილია თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების ეფექტური მართვა	-	-	-	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური	წერილადში ორჯერ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური	მონიტორინგი



**ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა**

**პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:**

მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება

**ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** 08 01 05

**ქვეპროგრამის დასახელება:**

ა(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია

**ქვეპროგრამის ბიუჯეტი:**

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	3 391 900
სხვა წყარო	0
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>3 391 900</b>

**ქვეპროგრამის მიზანი:**

მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესება;

**ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:**

- ა) ბათუმის ტერიტორიაზე სამშენებლო საქმიანობაზე, სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების, მათ შორის უსაფრთხოების წესების დაცვაზე ზედამხედველობა და დარღვევის ფაქტების გამოვლენა, უნებართვო ან/და დარღვევით მშენებარე ობიექტების შეჩერებაზე, სამშენებლო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში მოყვანაზე ან/და დემონტაჟზე სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოება და კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება, საჯარიმო სანქციების გამოყენება;
- ბ) სამშენებლო, სარემონტო და საავარიო სამუშაოების წარმოების (სამშენებლო და სარემონტო ტერიტორიების შემოღობვა, მიწის გრუნტისა და სამშენებლო ნარჩენების სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში გატანა, მიწისქვეშა კომუნიკაციათა ჩაწყობა გადაკეთებისა და მიწის გათხრასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოების ჩატარება, სამუშაოების დამთავრების შემდეგ ობიექტის კეთილმოწყობა-მოწესრიგება და სხვა) წესების დაცვაზე და დროულ და ხარისხიან შესრულებაზე კონტროლის დაწესება;
- გ) თვითმმართველი ერთეულის იერსახეზე, გარე ვაჭრობის, პლასტიკისა ან/და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის, რეკლამის, აბრის განთავსების, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის, ავტომანქანების პარკირების წესების დაცვაზე ზედამხედველობა, დარღვევის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება, მათ შესაბამისობაში მოყვანაზე/შესრულებაზე კონტროლი;
- დ) უკანონო, უსახური და ამორტიზირებული შენობა-ნაგებობების, ჯიხურების, ავტო-ფარეხების, პავილიონების, მცირე არქიტექტურული ფორმების მქონე მანქანა-დანადგარების, დახლების, სხვადასხვა კონსტრუქციების, სტელაჟების, სარეკლამო და საინფორმაციო სტენდების, დაფების, აბრების, აფიშების, პლაკატებისა და სხვა სარეკლამო ატრიბუტების უკანონო განთავსების ფაქტების გამოვლენა, მათი აღკვეთისა და სადემონტაჟო ღონისძიებების განხორციელება;
- ე) აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ზღვრის გადაჭარბებისა და პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენების ფაქტების გამოვლენა და კონტროლი;
- ვ) მწვანე ნარგავების დაზიანებაზე ან/და განადგურებაზე კონტროლის განხორციელება;
- ზ) საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიმართ საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“,

- თ) საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ და საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ დადგენილი ზომების განხორციელება; სრულებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება და შესაბამისი აქტის გამოცემა;
- ი) საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, დადგენილი წესით, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის უფლების (ნებართვა, თანხმობა, დადასტურება) მინიჭების თაობაზე შესაბამისი აქტების გამოცემა;
- კ) კომპეტენციის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულებებში (სილამაზის სალონები, სასტუმროები, აბანოები, სამრეცხაოები, საცურაო აუზები და სხვა), საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში ლაბორატორიული კვლევების ჩატარება და ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი შესაძლო მავნე ზეგავლენის შეფასება;
- ლ) კომპეტენციის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში (საპარაკმახეროები, კოსმეტიკური კაბინეტები, სასტუმროები, კემპინგები, მოტელები, ავტოსადგომები, აბანოები, საუნები, საშაპეები, სამრეცხაოები, საზოგადოებრივი პლაჟები, კინოთეატრები, საკონცერტო დარბაზები, სპორტული მოედნები, ნაგავსაყრელები, ტურისტული ბაზები, სანატორიუმები, სათამაშო სახლები, საგამოფენო დარბაზები, კლუბები, ატრაქციონები და საზოგადოებრივი მნიშვნელობის სხვა დაწესებულებები) სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა;
- მ) კომპეტენციის ფარგლებში, საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული სახის პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა, სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;
- ნ) კომპეტენციის ფარგლებში, დადგენილი წესით, დაწესებულების მოწყობის სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან შესაბამისობის დასკვნის გაცემა;
- ო) კომპეტენციის ფარგლებში, ეპიდსაშიშროებისას პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიების გატარება;
- პ) კომპეტენციის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველად ეპიდკვლევის ხელშეწყობა;
- ჟ) პარკირების წესების დარღვევის ზედამხედველობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

- რ) მგზავრთა გადაყვანის ავტოტრასპორტის ზედამხედველობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
- ს) მუნიციპალური ავტოტრასპორტში მგზავრთა გადაყვანის ზედამხედველობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
- ტ) საჯარიმო სადგომების და მუნიციპალური პარკირების ადგილების ადმინისტრირება;
- უ) სააგენტოს მიზნებისა და ფუნქციების გათვალისწინებით, კომპეტენციის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმების და სტრატეგიების დოკუმენტებით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება;
- ფ) მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
<b>ორგანიზაციის მართვა</b>				<b>3 291 900</b>
<i>შტატით დასაქმებულ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება</i>	პირი	110	17 531	1 928 400
<i>შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება</i>	პირი	72	8 458	609 000
<i>სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება, (სხვა ხარჯები)</i>				754 500
<b>უსახური და უკანონო შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოები</b>				<b>100 000</b>
<b>სულ ქვეპროგრამა</b>				<b>3 391 900</b>

**ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა**

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ორგანიზაციის მართვა	x	x	x	x
უსახური და უკანონო შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოები	x	x	x	x

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)

უზრუნველყოფილია მუნიციპალური მომსახურება

დამატებითი ინფორმაცია

--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
უზრუნველყოფილია მუნიციპალური მომსახურება	გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა	-	-	რაოდენობა	(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექცის	ყოველკვარტალურად	(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექცის	მონიტორინგი
	გამოვლენილ დარღვევებზე განხორციელებულ პრევენციულ ღონისძიებათა პროცენტული წილი	95%	95%	პროცენტი	(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექცის	ყოველკვარტალურად	(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექცის	მონიტორინგი